ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31213504**
თარიღი: **16/12/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“

სხდომის ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

15 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია.

ფრაქციის მოადგილეები: ვლადიმერ ნანაძე, კარლო წილოსანი, ლოლიტა ურუშაძე, ნინო მშვიდობაძე, სპარტაკ კვაჭაძე.

ფრაქციის მდივანი: კარლო კვიტაიშვილი.

ფრაქციის წევრები: ბესიკ ტაბიძე, ემზარ თევდორაძე, გიორგი ჩახვაძე, ვერიკო კვირკველია, გიორგი ხელაძე, ალექსანდრე მახათაძე, ზაზა წულაძე, ელისო ჭიჭინაძე.

მოწვეული პირი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

ფრაქციის თავმჯდომარე, ია მოქია მიესალმა მუნიციპალიტეტის მერს, მოწვეულ სტუმრებს, ფრაქციის მოადგილეებს და წევრებს, წარმატებები და ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა მათ მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

მოწვეულმა სტუმარმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ მიულოცა ფრაქციის წევრებს ის დიდი ნდობა, რომელიც ლანჩხუთის მოსახლეობამ მიანიჭათ, უსურვა მათ წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ია მოქია/

2. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 15, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი – „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საკასო შედეგების ანალიზის შედეგად დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა შემოსავლების ცალკეული სახეების კორექტირება, კერძოდ: სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა იზრდება 40,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 90,0 ათასი ლარით, ვინაიდან ბოლო წლებში სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადიდან შემოსული თანხა სტაბილურად 100 ათას ლარს უახლოვდება, რის გამოც, მიზანშეწონილად ჩაითვალა მისი განსაზღვრა 90 ათასი ლარით, ხოლო არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადის გეგმა შემცირდა 40 ათასი ლარით, ვინაიდან სტაბილურად ბოლო წლებში გარკვეულ საწარმოებს აქვს გადავადება და აქედან გამომდინარე განსაზღვრული იქნა 600,0 ათასი ლარით. ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ ბუნებრივ მოსაკრებლებზე განსაზღვრული 150 ათასი ლარი დაკორექტირდა შემდეგნაირად, კერძოდ: განსაზღვრული ბუნებრივი მოსაკრებლების გეგმა შემცირდა 67,0 ათასი ლარით, ვინაიდან ბოლო სამი წელია 100 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს ბუნებრივი რესურსების მოპოვებიდან შემოსული გადასახადი, რის გამოც მოხდა შემცირება და განისაზღვრა 83,0 ათასი ლარით; აქვე მან აღნიშნა, რომ 7 ათასი ლარით იზრდება მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტით, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავლის გეგმა და განისაზღვრება 17 ათასი ლარით; კორექტირება შემცირების ხარჯზე არის 100 ათასი ლარი, ხოლო 15 ათასი ლარით დაფინანსება ეზრდება ა(ა)იპ კულტურის ცენტრს. არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავლის გეგმა მცირდება 40,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 10,0 ლარით; ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავლის გეგმა გაიზარდა 115,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 2862,74 ათასი ლარით, რაზეც **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა** დაწვრილებით განმარტა, რომ 15 ათასი ლარით იზრდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ხოლო 100 ათასი ლარი არის შიდა კორექტირება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11მარტის #330 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 ნოემბრის #1985 განკარგულებით შესული ცვლილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით დამატებით გამოეყო 850000 ლარი. აქედან: აცანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციაზე 127104 ლარი, სუფსის კულტურის სახლის სახურავი რეაბილიტაციაზე - 89967 ლარი, გზების მოხრეშვასა და სასტუმრო ლაშთანთან წყლის კოლექტორის მოწყობაზე მიიმართოს 209952 ლარი, მრავალბინიანი სახლის და საცხოვრებელი სახლების სახურავის მასალების შეძენაზე და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დამწვარი სახლის რეაბლიტაციაზე მიიმართოს 422977 ლარი.

მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს შპს „ტრანს“-თან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მოსწავლეთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს, რომლისთვისაც ნოემბრის თვეში გამოყოფილი იყო 96400,60 ლარი, ხოლო ახალი მონაცემებით გადასახადი უნდა განისაზღვროს 104 ათასი ლარით, სულ ჯამში შეადგენს 200236,53 ლარს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ მერიას მიმართა ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრმა“, რის საფუძველზეც მოხდა კორექტირება და დეტალურად ასახულია საკრებულოში წარდგენილ განმარტებით ბარათში.

ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ა(ა)იპ-ს COVID19-ით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე აქვს ეკონომია შრომის ანაზღაურების მუხლში, რის გამოც მოხდა კორექტირება და შრომის ანაზღაურების მუხლის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდა არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით. აღნიშნული თანხით ა(ა)იპ-ი გეგმავს გამათბობლების შეძენას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 2452 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდა საქონელი და მომსახურების მუხლი 2452 ლარით. ამასთან, დამატებით გამოეყო 15000 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლში საახალწლო ღონისძიების ორგანიზების ჩატარებისათვის. ფინანსური უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 15000 ლარით ზრდის ხარჯზე. **ფრაქციის წევრმა ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ დეტალურად უნდა იქნას გაწერილი თუ რაში დაიხარჯება საახალწლო ღონისძიების ორგანიზებისთვის გამოყოფილი 15 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლას“ სხვა ხარჯების მუხლი შეუმცირდეს 3650 ლარით, შრომის ანაზღაურების მუხლის 13800 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 1200 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 16250 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური უზრუნველყოფის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 5000 ლარით, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

ფრაქციის წევრმა ემზარ თევდორაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ადმინისტრაციულ ერთეულებში საახალწლო განწყობის შესაქმნელად შესაბამისი თანხა, რასაც ფრაქციის თავმჯდომარე ია მოქიაც დაეთანხმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების 32000 ლარის შემცირების ხარზე უნდა გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 8 ა(ა)იპ-ის საქონელი და მომსახურების მუხლი ჯამში 32000 ლარით (თითოეული აიპის 4000 ლარი) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-IFSAS) სრული დარიცხვის მეთოდის დანერგვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით ბუღალტრული პროგრამების შეძენისათვის.

ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ მადლობა გადაუხადა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს როლანდ ლაშხიას და კითხვით მიმართა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, თუ რა კითხვები და შენიშვნები გამოითქვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, რაზედაც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ შენიშვნა იყო ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: კომისიის წევრი, გიორგი გოგუაძე დაინტერესდა თუ რატომ ხდება ბუნებრივი მოსაკრებლების შემცირება იმ ფონზე, როცა აკეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან და შრომისუბნიდან გატანილია 180 000 000 კუბური მეტრი ინერტული მასალა, საიდანაც 360 000 ლარი უნდა იყოს შემოტანილი ბიუჯეტში, რაზედაც **მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა,** რომ ბოლო სამი წელია აკეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან არ გაედინება ბუნებრივი რესურსი, ხოლო რაც შეეხება ჩოჩხათს, მხოლოდ სამი თვის მანძილზე გაგრძელდა ბუნებრივი რესურსის

ამოღება, რომლის შემოსავალიც ფიქსირდება ბიუჯეტში.

სხვადასხვა საკითხები:

ფრაქციის წევრმა, ელისო ჭიჭინაძემ დააყენა რამოდენიმე საკითხი, კერძოდ: ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაცდელის მოწყობა და სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯის გაზრდა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 15, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ია მოქია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე